პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 30 (263) 30 ოქტომბერი 1964 წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### ნაწილი პირველი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

განყოფილება პირველი

504. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ისრაელის სახელმწიფოში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან მ. ფ. ბოდროვის გათავისუფლების შესახებ.
505. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ისრაელის სახელმწიფოში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დ. ს. ჩუვახინის დანიშვნის შესახებ.
506. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის გათავისუფლების შესახებ.
507. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ამხ. ა. ნ. კოსიგინის დანიშვნის შესახებ.
508. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ტუნისის რესპუბლიკაში ა. გ. კულაჟენკოვის სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.
509. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ტუნისის რესპუბლიკაში ა. ე. მალიშევის სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის შესახებ.

განყოფილება მეორე

510. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ადიღეს ავტონომიური ოლქის კრასნოგვარდეისკის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობა „დრუჟბას“ წევრის ამხ. მ. მ. ნაბოკას მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
511. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რიგითი კ. ნუფრსენკოვის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
512. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. მ. კომაროვისათვის „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის“ წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

513. ბრძანებულება სრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. პ. ფეოკტისტოვისათვის „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის" წოდების მინიჭების შესახებ.

514. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. ბ. ეგოროვისათვის „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის" წოდების მინიჭების შესახებ.

515. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კოსმონავტი მფრინავისათვის ამხ. ვ. მ. კომაროვისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

516. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კოსმონავტი მფრინავისათვის ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატ ამხ. კ. ფ. ფეოკტისტოვისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

517. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კოსმონავტი მფრინავისათვის ექიმ ამხ. ბ. ბ. ეგოროვისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ .

518. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სახელმწიფო ერმიტაჟის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

519. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სახელმწიფო ერმიტაჟის მუშაკების სსრ კავშირის ორდენებით და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

520. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ავიაციის მარშალ ს. ი. რუდენკოს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

521. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. დ. სტეპანენკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

522. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გენერალ-ლეიტენანტ ა. ი. ბედნიაგინის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

523. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ბ. ა. გალინის (როგალინის) შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

524. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ბ. თ. ჩირსკოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

525. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ვ. ა. მასლენიკოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

526. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კინოდრამატურგ ა. ი. კაპლერის „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოების შესახებ.

527. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ავიაციის მარშალ ვ. ა. სუდეცის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

528. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მთქმელ პოეტ ს. კარალაევის „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოების შესახებ.

529. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საკავშირო რადიოს დიქტორის ამხ. ი. ბ. ლევიტანის „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა ტერიტორიული ზღვისა და მიმდებარე ზონის თაობაზე დადებული კონვენციის შესახებ.

ცნობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ რ. ს. გუსეინოვის გაწვევის შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ნაწილი II

### განყოფილება მეორე

530. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

### განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივ კომისიაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნაწილი პირველი

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

მიმდინარე წლის 15 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ა. ი. მიქოიანის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის საკითხი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა ამხ. ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის თხოვნა, რომ გაათავისუფლონ იგი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან ხანდაზმულობისა და ჯანმრთელობის გაუარესების გამო.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დანიშნა ამხ. ალექსი ნიკოლოზის ძე კოსიგინი და გაათავისუფლა იგი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის გათავისუფლებისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ამხ. ა. ნ. კოსიგინის დანიშვნის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებმა ერთხმად მიიღეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებმა გულთბილად მიულოცეს ამხ. ა. ნ. კოსიგინს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე დანიშვნა.

ამხ. ა. ნ. კოსიგინმა გულითადი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ნდობისათვის და აღუთქვა, რომ მთელ ძალ-ღონეს მოახმარს დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**504** **ისრაელის სახელმწიფოში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან მ. ფ. ბოდროვის გათავისუფლების შესახებ**

გათავისუფლდეს მიხეილ თევდორეს ძე **ბოდროვი** ისრაელის სახელმწიფოში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 2 ოქტომბერი.

**№ 2895-VI.**

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 505 ისრაელის სახელმწიფოში სსრ კავშირის საგანგებო და სრულ-უფლებიან ელჩად დ. ს. ჩუვახინის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს დიმიტრი სტეფანეს ძე **ჩუვახინი** ისრაელის სახელმწიფოში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 2 ოქტომბერი.
№ 2896-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 506 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობი-საგან ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის გათავისუფლების შესახებ

დაკმაყოფილდეს ამხ. ნიკიტა სერგის ძე **ხრუშჩოვის** თხოვნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ ხანდაზმულობისა და ჯანმრთელობის გაუარესების გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 15 ოქტომბერი.
№ 2917-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 507 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ამხ. ა. ნ. კოსიგინის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. ალექსი ნიკოლოზის ძე **კოსიგინი** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ და გათავისუფლდეს იგი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 15 ოქტომბერი.
№ 2918-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 508 ტუნისის რესპუბლიკაში ა. გ. კულაჟენკოვის სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ანატოლ გიორგის ძე კულაჟენკოვი ტუნისის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 17 ოქტომბერი.
№ 2930-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 509 ტუნისის რესპუბლიკაში ა. ე. მალიშევის სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ალექსანდრე ევგენის ძე მალიშევი ტუნისის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 17 ოქტომბერი.
№ 2931-VI.

# განყოფილება მეორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 510 ადიღეს ავტონომიური ოლქის კრასნოგვარდეისკის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობა „დრუჟბას“ წევრის ამხ. მ. მ. ნაზოკას მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ბავშვის გადარჩენის დროს გამოჩენილი ვაჟკაცობისა და მამაცობისათვის ადიღეს ავტონომიური ოლქის კრასნოგვარდეისკის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობა „დრუჟბას“ წევრი ამხ. მიხეილ მიხეილის ძე ნაზოკა დაჯილდოვდეს მედლით „მამაცობისათვის“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 17 ოქტომბერი.
№ 2919-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 511 რიგითი ა. ნურსეიტოვის მედლით „მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ

საშიში დამნაშავის დაკავების დროს გამოჩენილი ვაჟკაცობისა და მამაცობისათვის ყაზახეთის სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილის რიგითი კავაზბეკ ნურსეიტოვი დაჯილდოვდეს მედლით „მამაცობისათვის".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 17 ოქტომბერი.
№ 2921-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 512 ამხ. ვ. მ. კომაროვისათვის „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის" წოდების მინიჭების შესახებ

მრავალადგილიან თანამგზავრ ხომალდ „აისით" კოსმოსური ფრენის განხორციელებისათვის საბჭოთა კავშირის მოქალაქეს ამხ. ვლადიმერ მიხეილის ძე კომაროვს მიენიჭოს „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის" წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 19 ოქტომბერი.
№ 2933-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 513 ამხ. კ. პ. ფეოკტისტოვისათვის „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის" წოდების მინიჭების შესახებ

მრავალადგილიან თანამგზავრ ხომალდ „აისით" კოსმოსური ფრენის განხორციელებისათვის საბჭოთა კავშირის მოქალაქეს ამხ. კონსტანტინე პეტრეს ძე ფეოკტისტოვს მიენიჭოს „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის" წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 19 ოქტომბერი,
№ 2934-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 514 ამხ. ბ. ბ. ეგოროვისათვის „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის“ წოდების მინიჭების შესახებ

მრავალადგილიან თანამგზავრ ხომალდ „აისით“ კოსმოსური ფრენის განხორციელებისათვის საბჭოთა კავშირის მოქალაქეს ამხ. ბორის ბორისის ძე ეგოროვს მიენიჭოს „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის“ წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 19 ოქტომბერი.
№ 2935-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 515 კოსმონავტი მფრინავისათვის ამხ. ვ. მ. კომაროვისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

მრავალადგილიან თანამგზავრ ხომალდ „აისით“ კოსმოსში ფრენის განხორციელებისათვის მიენიჭოს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“ კოსმონავტ მფრინავს ამხ. ვლადიმერ მიხეილის ძე კომაროვს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 19 ოქტომბერი.
№ 2936-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 516 კოსმონავტი მფრინავისათვის ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატ ამხ. კ. ფ. ფეოქტისტოვისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

მრავალადგილიან თანამგზავრ ხომალდ „აისით“ კოსმოსში ფრენის განხორციელებისათვის მიენიჭოს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“ კოსმონავტ მფრინავს ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს ამხ. კონსტანტინე პეტრეს ძე ფეოქტისტოვს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 19 ოქტომბერი.
№ 2937-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 517 კოსმონავტ მფრინავისათვის ექიმ ამხ. ბ. ბ. ეგოროვისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

მრავალადგილიან თანამგზავრ ხომალდ „აისით" კოსმოსში ფრენის განხორციელებისათვის მიენიჭოს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი" კოსმონავტ მფრინავს ექიმ ამხ. ბორის ბორისის ძე ეგოროვს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 19 ოქტომბერი.
№ 2938-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 518 სახელმწიფო ერმიტაჟის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაარსების 200 წლისთავთან დაკავშირებით და მშრომელთა მხატვრულ აღზრდაში მუზეუმის კოლექტივის დიდი დამსახურების აღსანიშნავად სახელმწიფო ერმიტაჟი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 19 ოქტომბერი.
№ 2939-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 519 სახელმწიფო ერმიტაჟის მუშაკების სსრ კავშირის ორდენებით და მედლებით დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო ერმიტაჟის დაარსების 200 წლისთავთან დაკავშირებით და მშრომელთა მხატვრულ აღზრდაში დამსახურების აღსანიშნავად დაჯილდოვდნენ:

### შრომის წითელი დროშის ორდენით

1. ალისა ვლადიმერის ასული ბანკი — აღმოსავლეთის განყოფილების მთავარი მცველი.

2. ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ვასილიევი — რუსული კულტურის ისტორიის განყოფილების გამგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ტატიანა დავითის ასული **კამენსკაია** — დასავლეთ ევროპის ხელოვნების ისტორიის განყოფილების სექტორის გამგე.

4. ანასტასია მიხეილის ასული **ლაზარევა** — მუზეუმის უფროსი მსახური.

5. ანა ალექსის ასული **პერედოლსკაია**—ანტიკური სამყაროს განყოფილების გამგე.

6. ივანე გიორგის ძე **სპასკი** — ნუმიზმატიკის განყოფილების მთავარი მცველი.

„საპატიო ნიშნის" ორდენით

1. კირა თევდორეს ასული **ასაევიჩი** — დასავლეთ ევროპის ხელოვნების ისტორიის განყოფილების გამგე.

2. გრიგოლ დიმიტრის ძე **ბელოვი** — ანტიკური სამყაროს განყოფილების მთავარი მცველი.

3. კონსტანტინე ლეონტის ძე **ბონდარენკო** — ენერგეტიკოსების ბრიგადირი.

4. პავლე ფილიპეს ძე **გუბჩევსკი** — სამეცნიერო-საგანმანათლებლო განყოფილების სექტორის გამგე.

5. ნიკოლოზ გიორგის ძე **კისელიოვი** — დურგალთა ბრიგადირი.

6. ოლღა მიხეილის ასული **პერსიანოვა** — სამეცნიერო-საგანმანათლებლო განყოფილების სექტორის გამგე.

7. მარიამ ვლადიმერის ასული **სტეპანოვა** — დასავლეთ ევროპის ხელოვნების ისტორიის განყოფილების მთავარი მცველი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის"

1. მაგდალინა ფრანცის ასული **ვილმი** — აღრიცხვისა და დაცვის განყოფილების გამგე.

2. ირინე ნიკოლოზის ასული **ნოვოსელსკაია** — დასავლეთ ევროპის ხელოვნების ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

3. ანა პავლეს ასული **სულთან-შახი** — აღმოსავლეთის განყოფილების მთავარი მცველი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის"

1. ალექსანდრა მიხეილის ასული **ანოსოვა** — გრაფიკის რესტავრაციის სახელოსნოს გამგე.

2. ნინო იურის ასული **ბირიუკოვა** — დასავლეთ ევროპის ხელოვნების ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

3. ლუდმილა ნიკოლოზის ასული **ვორონიხინა** — სამეცნიერო-საგანმანათლებლო განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

4. ქსენია სერგის ასული **გორბუნოვა** — ანტიკური სამყაროს განყოფილების გამგის მოადგილე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

5. მუზა ალფეის ასული **დადაევა** — უფროსი ბუღალტერი.

6. პეტრე ივანეს ძე **ზახაროვი** — გამოყენებითი ხელოვნების საგნების რესტავრაციის სახელოსნოს გამგე.

7. გალინა ივანეს ასული **კაჩალინა** — სამეცნიერო-საგანმანათლებლო განყოფილების გამგე.

8. გალინა ნიკოლოზის ასული **კომელოვა** — რუსული კულტურის ისტორიის განყოფილების გამგის მოადგილე.

9. კირა მიხეილის ასული **სკალონი** — პირველყოფილი კულტურის ისტორიის განყოფილების მთავარი მცველი.

10. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე **სმირნოვი** — ავტომატური სატელეფონო სადგურის უფროსი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. **მიქოიანი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. **გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 19 ოქტომბერი.

№ 2940-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 520 ავიაციის მარშალ ს. ი. რუდენკოს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ავიაციის მარშალი სერგი ეგნატეს ძე **რუდენკო** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. **მიქოიანი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. **გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 19 ოქტომბერი.

№ 2941-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 521 ამხ. ი. დ. სტეპანენკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით პოდოლსკის ეკონომიური რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. იგორ დიმიტრის ძე **სტეპანენკო** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. **მიქოიანი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. **გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 21 ოქტომბერი.

№ 2942-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 522 გენერალ-ლეიტენანტ ა. ი. ბედნიაგინის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა არმიის წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით გენერალ-ლეიტენანტი ანატოლ ივანეს ძე **ბედნიაგინი** დაჯილდოვდეს **წითელი ვარსკვლავის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 21 ოქტომბერი.
№ 2943-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 523 მწერალ ბ. ა. გალინის (როგალინის) შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მწერალი ბორის აბრამის ძე **გალინი (როგალინი)** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 21 ოქტომბერი.
№ 2944-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 524 მწერალ ბ. თ. ჩირსკოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მწერალი ბორის თევდორეს ძე **ჩირსკოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 21 ოქტომბერი.
№ 2945-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 525 პროფესორ ვ. ა. მასლენიკოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

პედაგოგიურ და მეცნიერულ სამუშაოზე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობის სახელმწიფო ინსტიტუტის მსოფლიო ეკონომიკის კათედრის გამგე, პროფესორი ვიაჩესლავ ალექსანდრეს ძე **მასლენიკოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. **მიქოიანი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. **გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 21 ოქტომბერი.
№ 2946-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 526 კინოდრამატურგ ა. ი. კაპლერის „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა კინოხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით კინოდრამატურგი ალექსი იაკობის ძე **კაპლერი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის"** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. **მიქოიანი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. **გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 21 ოქტომბერი.
№ 2947-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 527 ავიაციის მარშალ ვ. ა. სუდეცის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ავიაციის მარშალი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე **სუდეცი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. **მიქოიანი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. **გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 22 ოქტომბერი.
№ 2958-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 528 მთქმელ პოეტ ს. კარალაევის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით მთქმელი პოეტი საიაკბაი **კარალაევი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 24 ოქტომბერი.
№ 2966-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 529 საკავშირო რადიოს დიქტორის ამხ. ი. ბ. ლევიტანის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა რადიომაუწყებლობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საკავშირო რადიოს დიქტორი ამხ. იური ბორისის ძე **ლევიტანი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 24 ოქტომბერი.
№ 2967-VI.

## განყოფილება მესამე

## საინფორმაციო ცნობა

### ტერიტორიული ზღვისა და მიმდებარე ზონის თაობაზე დადებული კონვენციის შესახებ

1958 წლის 29 აპრილს ჟენევაში დაიდო მრავალმხრივი კონვენცია ტერიტორიული ზღვისა და მიმდებარე ზონის შესახებ.

კონვენცია რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1960 წლის 20 ოქტომბერს იმ შენიშვნებით, რომლებიც სსრ კავშირის წარმომადგენელმა 20და23 მუხლების გამო გააკეთა მისი ხელმოწერის დროს ნიუ-იორკში 1958 წლის 30 ოქტომბერს.

კონვენცია ტერიტორიული ზღვისა და მიმდებარე ზონის შესახებ ამ კონვენციის 29 მუხლის შესაბამისად ძალაში შევიდა 1964 წლის 10 სექტემბერს.

კონვენციის ტექსტი გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ (1964 წლის 21 ოქტომბერი, № 43).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ც ნ ო ბ ა

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ რ. ს. გუსეინოვის გაწვევის შესახებ

1964 წლის 23 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე მიმდინარეობდა კენჭისყრა ნახჭევნის ასსრ ნეგრამის № 515 საარჩევნო ოლქში არჩეულ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატ რამაზან სადიხ ოღლი გუსეინოვის გაწვევის შესახებ.

გაწვევის კენჭისყრა ტარდებოდა „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის შესახებ" სსრ კავშირის კანონის შესაბამისად.

გაწვევის კენჭისყრის ჩამტარებელი საოლქო კომისიის ცნობით რ. ს. გუსეინოვი კენჭისყრის შედეგების თანახმად გაწვეულია ეროვნებათა საბჭოს შემადგენლობიდან.

## ნაწილი II

### განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 530 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კვაისის ტყვია-თუთიის საწარმოში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. ბორის ერასტის ძე **ბაზაევი** — კვაისის ტყვია-თუთიის საწარმოს მთავარი ბუღალტერი.

2. მუხარბეგ მოსეს ძე **გუტიევი** — კვაისის ტყვია-თუთიის საწარმოს კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსი.

3. ბენიამინ ბესარიონის ძე **ვაჭარაძე** — კვაისის ტყვია-თუთიის საწარმოს დირექტორი.

4. გრიშა იოსების ძე **ზასეევი** — კვაისის ტყვია-თუთიის საწარმოს კაპიტალური მშენებლობის განყოფილების ელექტროშემდუღებელი.

5. ილია კონსტანტინეს ძე **ზასეევი** — კვაისის ტყვია-თუთიის საწარმოს მთავარი ინჟინერი.

6. დანელ ალექსის ძე **კაჩმაზოვი** — კვაისის ტყვია-თუთიის საწარმოს ზემო კვაისის მაღაროს უბნის მექანიკოსი.

7. ქსენია გაბრიელის ასული **კაჩმაზოვი** — კვაისის ტყვია-თუთიის საწარმოს კაპიტალური მშენებლობის განყოფილების მებეტონე.

8. იაკობ ივანეს ძე **ლიტვინენკო** — კვაისის ტყვია-თუთიის საწარმოს ელექტროზეინკალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. გივი ალექსანდრეს ძე **სანიკიძე** — კვაისის ტყვია-თუთიის საწარმოს სამთო ტექნიკოსი.

10. გენადი ივანეს ძე **სტრელცოვი** — კვაისის ტყვია-თუთიის საწარმოს მთავარი მექანიკოსი.

11. იოსებ სიმონის ძე **ჩიაევი** — კვაისის ტყვია-თუთიის საწარმოს ყოფილი დირექტორი.

12. ალიხან კაიტიკოს ძე **ხუგაევი** — ზემო კვაისის ტყვია-თუთიის საწარმოს მნგრეველი.

13. ისიდორე ანტონის ძე **ხუგაევი** — კვაისის ტყვია-თუთიის საწარმოს გამამდიდრებელი ფაბრიკის მორიგე ელექტრიკოსი.

14. მიხეილ ალექსის ძე **ხუგაევი** — კვაისის ტყვია-თუთიის საწარმოს დიზელის ელექტროსადგურის მემანქანე.

15. ხაზბი ზურაბის ძე **ხუგაევი** — კვაისის ტყვია-თუთიის საწარმოს ზემო კვაისის მაღაროს მჭედელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1964 წლის 23 ოქტომბერი.

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივ კომისიაში

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის სხდომა დეპუტატ დ. მამულაძის თავმჯდომარეობით.

კომისიამ მოისმინა გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის, ახალციხისა და თეთრი წყაროს რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა მოხსენებები ქალაქ გორში და ახალციხის და თეთრი წყაროს რაიონებში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობის შესახებ.

მოხსენებათა გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ ო. დვალმა, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ე. გოგუამ, დეპუტატებმა დ. მამულაძემ, ვ. რევაზიშვილმა, ა. გონაშვილმა და სხვებმა.

კომისიამ რჩევა მისცა გორის საქალაქო, ახალციხის და თეთრი წყაროს რაიონული საბჭოების აღმასკომებს, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს, ცეკავშირის გამგეობას მიიღონ საჭირო ზომები არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. კვაჭაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარეობს ხელმოწერა

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებზე

## 1965 წლისათვის

### „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ ქვეყნდება:

**პირველ ნაწილში (ქართულ ენაზე):**

ა) სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნორმატიული ხასიათის ბრძანებულებები და დადგენილებები, აგრეთვე სხვა დოკუმენტები;

ბ) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები საბჭოთა კავშირის გმირისა და სოციალისტური შრომის გმირის წოდებათა, საპატიო წოდებათა მინიჭების და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ;

გ) მოკლე ცნობები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პალატების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ, ინფორმაცია საპარლამენტთაშორისო კავშირის სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მოღვაწეობის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებისა და გაწვევის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისათვის უცხო სახელმწიფოთა ელჩების მიერ რწმუნების სიგელების გადაცემის შესახებ, ცნობები მოკავშირე რესპუბლიკების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ და სხვ.

**მეორე ნაწილში (ქართულ და რუსულ ენებზე):**

ა) საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნორმატიული ხასიათის ბრძანებულებები და დადგენილებები;

ბ) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ;

გ) ინფორმაცია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მისი მუდმივი კომისიების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებისა და გაწვევის შესახებ, რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ და სხვ.

## „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“

### გამოდის თვეში სამჯერ ქართულ და რუსულ ენებზე.

**ხელმოწერის ფასია:**

12 თვით — 2 მანეთი და 50 კაპ.
6 თვით — 1 მანეთი და 25 კაპ.

**ხელმოწერას იღებს:**

„სოიუზპეჩატი“, კავშირგაბმულობის განყოფილებები: კონტორები, სააგენტოები, ფოსტალიონები, აგრეთვე რწმუნებულები, რომელთაც ხელმოწერის მიღების უფლება აქვთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „იზვესტია“
მოსკოვი, ცენტრი, პუშკინის მოედანი, 5

## დაიწყო ხელმოწერა

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებზე 1965 წლისათვის

## „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“

## ქვეყნდება:

პირველ განყოფილებაში — სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნორმატიული ხასიათის ბრძანებულებები და დადგენილებები; სსრ კავშირის მიერ უცხო სახელმწიფოებთან დადებული და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ რატიფიცირებული ხელშეკრულებები, შეთანხმებები და კონვენციები;

მეორე განყოფილებაში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები საბჭოთა კავშირის გმირისა და სოციალისტური შრომის გმირის წოდებათა, საპატიო წოდებათა მინიჭების და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ;

მესამე განყოფილებაში — მოკლე ცნობები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პალატების, მათი მუდმივი კომისიების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ, ინფორმაცია საპარლამენტთაშორისო კავშირის სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მოღვაწეობის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებისა და გაწვევის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისათვის უცხო სახელმწიფოთა ელჩების მიერ რწმუნების სიგელების გადაცემის შესახებ, ცნობები მოკავშირე რესპუბლიკების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ და სხვა.

## „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“

### გამოდის კვირაში ერთჯერ.

### ხელმოწერის ფასია:

12 თვით — 4 მანეთი და 80 კაპ.
6 თვით — 2 მანეთი და 40 კაპ.
3 თვით — 1 მანეთი და 20 კაპ.
ხელმოწერა მიიღება ყოველ მომდევნო თვიდან.

### ხელმოწერას მიიღებს:

„სოიუზპეჩატის“ საქალაქო და რაიონული განყოფილებები, კავშირგაბმულობის კონტორები, განყოფილებები და საააგენტოები, ფოსტალიონები, აგრეთვე რწმუნებულები, რომელთაც ფაბრიკებში, ქარხნებში, მშენებლობებზე, შახტებში, რკინიგზის ტრანსპორტზე, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, სასწავლებლებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ხელმოწერის მიღების უფლება აქვთ.